№8 (7044) 27 აპრილი,
ორშაბათი, 2015 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

აღდგომის მეტაფორა

ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად აღდგა!

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო ერთგულნო და თავდადებულნო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, საქართველოს მკვიდრნო და დროებით სამშობლოს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო

ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება სხვისთვის მსახურებაში, სიკეთეში, სიმართლეში, მშვიდობაში, სიწმინდეში, მოწყალებაში, სიხარულში...

ასეთი მადლით იყო მოცული ცოდვით დაცემამდე მთელი სამყარო, დედამიწა და მკვიდრნი მას შინა. როდესაც გველის ცდუნებით ადამმა და ევამ ღვთის მცნება დაარღვიეს, ამით მათ შემომქმედზე და მისი მცნებებით

„მაშ, ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და სულით, რომელნიც არიან ღმრთისა“ (კორინ. 6,20)

„ლხენით ვილხენ უფალში და ხარობს ჩემი სული ჩემს ღმერთში, რადგან შემმოსა ხსნის სამოსელით“ (ეს.61,10)

„დღეს აღდგომისა დღე არს, განვბრწყინდებოდეთ აწ ერნო...“ (ზატიკი)

უფალი, “რომელიც მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის, აღსდგა ჩვენს განსამართლებლად. (რომ.4.25) და სიკვდილიცა მოკლულ იქმნა მის მიერ (პარაკლ.) გიხაროდეთ!

ქრისტე აღდგა!

სად არის სიკვდილო საწერტელი შენი?

ქრისტე აღდგა!

სად არის ჯოჯოხეთო ძლევაი შენი? (I კორ1 5,55)

„აღდგა ქრისტე და დაირღვიე შენ; აღდგა ქრისტე და დაეცნენ ეშმაკნი; აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს“ (წმ. იოანე ოქროპირი).

როგორც პავლე მოციქული ამბობს, ცოტას თუ ვინმეს შეუძლია სიცოცხლის გაწირვა მართალთათვის, ქრისტემ კი თავი დადო ჩვენთვის, რომელნიც ვიყავით უცხონი, მტრები და მოწინააღმდეგეები მისთვის (შდრ. რომ.5; 6-8).

და რატომ ვიყავით მტრები და უცხონი?

–ღმერთი სიყვარული არს და ამ გრნობით შექმნა და განმსჭვალა მან მთელი ხილული და უხილავი სამყარო.

ცხოვრებაზე თქვეს უარი. უარი თქვეს იმ სიყვარულზე, რომელიც სხვისთვის გასცემს ყველაფერს და არ ეძებს თავისას; მადლდაკარგულებს ამპარტავნების ვნება დაეუფლათ, ეგოისტური აზრები და თავის თავზე ორიენტირებული სიყვარული გაუჩნდათ და წაერთვათ საგანთა და მოვლენათა არსში სრულყოფილად წვდომის უნარი.

ადამის მთელი მოდგმა ამ სენით დაავადდა და საღვთო დიდებისთვის განმზადებულმა თავი წარწყმედისთვის გაწირა.

ამიტომაც ვიყავით განშორებული ღვთისგან.

–როგორ გვიხსნა ქრისტემ და რას ვზეიმობთ მისი აღდგომით? ყველა ადამიანის სული, ადამის ცოდვის გამო, გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთს იმკვიდრებდა.

მამა ღმერთმა ჩვენს გამოსახსნელად მოავლინა თვისი მხოლოდშობილი ძე, რომელმაც მიიღო სრული ადამიანური ბუნება და თავის ჰიპოსტასში განუყოფლად და შეურევლად შეუერთა საღვთო ბუნებას, რითაც განაღმრთო კაცება.

იესო ქრისტემ ყოვლისმომცველი, მსხვერპლშეწირული სიყვარულის ძალით ბოროტების საკრველნი დაამსხვრია, დაამხო ეშმაკის მეფობა, მართალთა სულები იქიდან ამოიყვანა და კაცობრიობისათვის ზეცის კარიბჭენი გახსნა.

დიახ, ამიერიდან მართალთათვის გარდაცვალება იქცა არა წარწყმედის, არამედ ცხონების, სიხარულისა და მარადიულ ნეტარებაში დამკვიდრების საშუალებად.

ამიტომაც წერია ფსალმუნში: „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმინდათა მისთა“, ამიტომაც აღნიშნავს ეკლესია წმინდანთა გარდაცვალების დღეს ზეიმით.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც რწმენით და სინანულით აღესრულება, უფლის მადლითა და მოწყალებით, წმინდათა შორის დაემკვიდრება (რა თქმა უნდა, სხვადასხვა სავანეში, თავისი ამქვეყნიური ღვაწლის შესაბამისად), ამიტომაც მოძღვარი წესის აგების ლოცვაში ასე ავედრებს უფალს გარდაცვლილს: “წმიდათა თანა განუსვენე, ქრისტე, მონასა (ან მხევალსა) შენსა...“

სწორედ ეს აღთქმა, წმინდათა შორის მარადიული თანამყოფობისა, არის აღდგომის ზეიმის არსი, თითოეული ადამიანის იმედისა და სიხარულის საფუძველი.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს:

უფლის ჯვარცმისას იხილეს მრავალი სასწაული: დაბნელებული და ხელახლა გაბრწყინებული მზე, განპობილი კრეტსაბმელი, მაცხოვრის გვერდიდან გადმოღვრილი სისხლი და წყალი, მიწისძვრა, საფლავთაგან მკვდართა აღმოსვლა, სასწაული უფლის საფლავად დადების ჟამს... მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ შეედრება ჩემი ცხონების სასწაულს!

ხოლო ვისაც ეს არა აქვს გაცნობიერებული, ფუჭია მისი სარწმუნოება. აი, როგორ გვაფრთხილებს მოციქული: „თუ მხოლოდ ამ ცხოვრებაში ვართ ქრისტეს მოსავნი, კაცთა შორის უსაწყალობესნი ვართ...“ ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ამაოა ჩვენი ქმედება და ამაოა თქვენი რწმენა“ (I.კორ.15;14’19),

–თუ სიკვდილი განქარდა, რატომღა კვდებიან ადამიანები, რატომ დარჩა გარდაცვალება ყველასათვის აუცილებელ მოვლენად?

სამოთხეში ადამს და ევას სხვაგვარი სხეული ჰქონდათ, შემდეგ კი ხრწნადობა შეიმოსეს და მოკვდავნი გახდნენ. აქედან მოყოლებული ადამიანი ამ მოკვდავი სხეულისა და უკვდავი სულის ერთობას წარმოადგენს, რომელთა განცალკევებაც სიკვდილისთანავე ხდება.

მართალთა სულები ქრისტეს აღდგომის შემდეგ უფლის წიაღს იმკვიდრებენ, ცოდვით დამძიმებულთა კი, –კვლავ ბნელეთის ანგელოზთა დასს უერთდებიან. სხეული კი

3

ზეციური ცეცხლის ჩამობრძანება ხობში

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს მაცხოვრის საფლავზე ზეციური ცეცხლის გარდამოსვლა-ადამიანთათვის უფლის მოწყალებაა, რომელიც მრევლისთვის სიხარულისა და იმედის მარადიულობის ნიშანია. 12 აპრილს, გვიან ღამით, იერუსალიმიდან ქართველი მომლოცველების მიერ ზეციური ცეცხლი თბილისიდან ხობში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლმა გოჩა ქაჯაიამ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ და გამგებლის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ ჩამოაბრძანეს.

ქ. ხობის წმ.სამების სახელობის საკათედრო ტაძრიდან მოეწყო მსვლელობა, სადაც ტაძრის წინამძღვარმა მამა კირიონმა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის ლოცვა-კურთხევით აკურთხა ქალაქის ქუჩები და დალოცა მოსახლეობა.

ტკივილისა და სიამაყის დღე

მარადიულ ტკივილად დარჩენილი და მაინც თავისუფლების გვირგვინით აღზევებული 9 აპრილი–საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის, სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღე.

ზუსტად 27 წლის წინ, საქართველოს ისტორიაში ტრაგიკულად ჩაწერილი დღის აღსანიშნავად ხობის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისევ შეამკო ტიტებით 9 აპრილის მემორიალი, აანთო უამრავი სანთელი და წუთიერად მუხლი მოიყარეს ეროვნული გმირების უკვდავი ხსოვნის პატივსაცემად. სკოლა „არეას“ მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ ააფრიალეს საქართველოს სამფეროვანი დროშა, დროშა თავისუფლებისა და დაგვანახეს, როგორ იზრდება „ალგეთს ლეკვები...“

„სამშობლოს არვის წავართმევთ ჩვენც ნურვინ შეგვეცილება...“,

„გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას, საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს“–ისმოდა მათი ომახიანი ხმები.

ამაღელვებელი, ცრემლიანი, ტკივილიანი დღე იყო, მაგრამ ამაყი.

თავის გამოსვლაში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა გოჩა ქაჯაიამ, როგორც ამ მიტინგის თანამონაწილემ, გაიხსენა 9 აპრილის სისხლიანი ღამე და აღნიშნა:

2015 წლის 9 აპრილს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით სულდგმულობს, ვალდებულები ვართ, პირნათელი ვიყოთ, როგორც საკუთარი სინდისის. ასევე გმირთა ხსოვნის წინაშე. საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა 9 აპრილის ტრაგედია–დღე, რომელმაც სათავე დაუდო თავისუფლებისთვის ბრძოლის ახალ ეტაპს.

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, გვიყვარდეს ერთმანეთი. ვილოცოთ ჩვენი ქვეყნის ძლიერებისთვის, ერთიანობისთვის. მან მადლობა გადაუხადა სკოლა „არეას“ მოსწავლეებსა და პედაგოგებს ასეთი ლამაზი ღონისძიების მოწყობისთვის.

ბოლოს, ტრადიციულად ხობის სამების სახელობის ეკლესიაში დეკანოზმა მამა კირიონმა სამშობლოს ზვარაკად შეწირულ მამულიშვილებს პარაკლისი გადაუხადა.

ღონისძიებამ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გადაინაცვლა, სადაც შესრულდა სხვადასხვა მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიციები, ხალხური სიმღერები, ლექსები.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, მოეწყო მსვლელობა ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 9 აპრილს დაღუპული გმირის ნათია ბაშალეიშვილის სახელობის წყაროსთან და მონაწილეებმა ნათიას დედულეთში პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

ნაირა ბერაია

პრემიერ-მინისტრის ინიციატივები

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ტრადიციული საალდგომო საჩუქარი ხობელებს

ხობის მუნიციპალიტეტში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მრავალშვილიან დედებს, მოხუცებს, სამამულო ომის ვეტერანებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს და მრევლს (მამაოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით), საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ სააღდგომო საჩუქრები გამოუგზავნა. ტრადიციად ქცეული სააღდგომო საჩუქრები დეპუტატისგან წელს 155 ოჯახს გადაეცა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საჩუქრების დარიგებაში ბიუროს ხელმძღვანელ რევაზ წულაიას, ბიუროს სპეციალისტებს ნინო ცხადაიას და ნინო პაჭკორიას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები ეხმარებოდნენ. სააღდგომოდ დასაჩუქრებული მოსახლეობა მადლიერებას გამოთქვამდა დეპუტატს მადლობას უხდიდა. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ყველას ულოცავს აღდგომის დღესასწაულს და დეპუტატს მადლობას უხდის ქველმოქმედებისთვის.

დედამიწის დღე ხობის მუნიციპალიტეტში

დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დედამიწის საერთაშორისო დღე აღნიშნეს. კვირეული გაიხსნა აქცია „მწვანე ლენტით“, რომლის მიზანია–„გვქონდეს სუთა და მწვანე დედამიწა, სასტიკად აიკრძალოს დანაგვიანება“. მოსწავლეებმა დაარიგეს ფერადი ფლაერები წარწერებით „გაუფრთხილდი შენს თავს! გამიფრთხილდი მე! გაუფრთხილდი დედამიწას!“ „მე, შენ, ჩვენ-ერთად დავასუფთაოთ ჩვენი დედამიწა“, რითაც ბავშვებმა საზოგადოებას შეახსენეს, რომ დედამიწას დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. კვირეულის ფარგლებში იგეგმება სხვადასხვა აქტივობები. დედამიწის დღისადმი მიძღვნილ აქციაში მოსწავლეებმა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებიც ჩართეს. აქციაში მუნიციპალიტეტის სხვა საჯარო სკოლებიც მონაწილეობდნენ.

დედამიწის საერთაშორისო დღე 1970 წლიდან აღინიშნება და ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი ღონისძიებაა. ყოველი წლის 22 აპრილს, სხვადასხვა ღონისძიებაში190-ზე მეტი ქვეყნის 20 ათასამდე ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე, დედამიწაზე საკუთარი გარემოს გაუმჯობესების მიზნით მონაწილეობს.

შეხვედრა ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის წევრებთან

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ და ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ ხობის „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის“ წევრებს უმასპინძლეს.

შეხვედრაზე, რომელსაც გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ახალგაზრდებმა ხობის მუნიციპალიტეტის თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ახალგაზრდების მიზნებზე, საჭირბოროტო საკითხებზე და მათი სამომავლოდ განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრეს.

ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის“ წევრებს მადლობა გადაუხადეს აქტიურობისთვის და მათი ინიციატივების განსახორციელებლად მხარდაჭერა გამოუცხადეს.

WWW.khobi.ge

შეხვედრა კონკურსის წესით დანიშნულ საჯარო მოხელეებთან

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში შეხვედრა გამართეს საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის მოადგილეებმა ვარაზ გაბედავამ და მახარე ჩოკორაიამ კონკურსის წესით დანიშნულ საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოხელეებთან.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა საჯარო მოხელეებს მიულოცეს ვაკანტურ თანამდებობებზე დანიშვნა და წარმატებები უსურვეს სამსახუროებრივ საქმიანობაში.

ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“

ხობის კულტურის სახლში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ სადაც 25 გუნდს შორის გამარჯვებული გახდა ჭალადიდის საჯაროს სკოლის ინტელექტუალური გუნდი.

საღდგომო ეპისტოლე

ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად აღდგა!

1

იხრწნება და უერთდება მიწას, რომლისგანაც შეიქმნა. როგორც მარცვალი ხნულში ითესება და იხრწნება, რათა აღდგეს უხრწნელებით, ასევე "ითესება სხეული მშვინვიერი და აღდგება სხეული სულიერი, ითესება დამცირებაში და აღდგება დიდებაში" (I-კორ. 15. 44, 45).

ეს მოხდება მეორედ მოსვლის ჟამს. ყოველი გარდაცვლილის სული (ცოდვილთა თუ მართალთა) შეიერთებს თავის უხრწნელ სხეულს.

ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი სული და სულიერი სხეული მარადიული ნეტარებისათვის აღდგეს და არა მარადიული სატანჯველისა და გეენიისათვის.

ზოგიერთს სიკვდილისადმი აქვს ერთგვარი ზერელე დამოკიდებულება, ზოგს კი – ავადმყოფური შიში. ხშირად ერთნიც და მეორენიც ამიტომ არ ფიქრობენ ამ საკითხზე, რაც არ არის სწორი.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გარდაცვალება აუცილებლად გველის და ყოველი დღე უნდა გავატაროთ ისე, როგორც უკანასკნელი. მაშინ მეტი დაკვირვება გვექნება საკუთარ თავზე, მეტი გულისყურით მოვეპყრობით მოყვასს და ღვთის სათნოდ მოვიქცევით ამა თუ იმ ვითარებაში.

როგორ მივხვდეთ, რა არის მართებული ქმედება?

–მთავარი ორიენტირი ჩვენთვის უნდა იყოს მაცხოვარი, რომლის მიერაც განგვეცხადა ადამიანის სიდიადე; უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ყოველ ჩვენგანს, ზიარების მადლით, შეუძლია, ძალისამებრ თვისასა დაიტიოს იგი და შეუერთდეს მას, რათა განიღმრთოს და მიაღწიოს იმ სისრულეს, რისთვისაცაა მოწოდებული.

თუმცა ეს შეერთება ვერ შედგება, თუ არ მოხდა პიროვნული შეხვედრა მაცხოვართან, - შეხვედრა ცოცხალ ღმერთთან!

ეს არის ყველაზე დიდებული ჟამი ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებაში; ეს არის ჭეშმარიტ სიყვარულთან დაბრუნების და მისით აღვსების საოცარი განცდა, რომელიც სრულიად გარდაქმნის ჩვენს შინაგან სამყაროს და მადლით აღავსებს სულს;

არის მადლი მომხმობი, მომწოდებელი, რომელიც კაცს განაცდევინებს სასუფევლის ნეტარებას და სინანულისთვის განაწყობს. მერე კი იწყება გამოცდის ჟამი, ანუ ის ეტაპი, როდესაც შენ შენი შრომით, სინანულითა და ჭირთა დათმენით უნდა ააღორძინო და განამრავლო იგი.

ღმერთი ყველგან სუფევს, მაგრამ ეკლესიაა სულიერი სხეული მისი, სადაც საღვთო სიდიადე სრულად ვლინდება კაცთა წინაშე. ეს არის ის სივრცე, სადაც აღესრულება საღვთო საიდუმლოებები, სადაც ყოველ წირვაზე უხილავად მყოფობს უფალი და წმინდა ზიარებით მასთან შეერთების საშუალებას გვაძლევს.

მაგრამ ღმერთთან კავშირი ორმხრივი მოვლენაა, შენ ვერ ჰპოვებ უფალს, თუ არ შეიცანი იგი, თუ არ აღივსე ღვთისმსგავსი უშურველი სიყვარულით.

ასეთი სიყვარულის უნარი ადამიანს აქვს და იგი ვლინდება მაგ.შვილების, მშობლების, მეუღლის, დედმამიშვილების, მეგობრებისა და ახლობლებისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და, საჭირო შემთხვევაში, თავგანწირვაშიც.

ამგვარი სიყვარულით, პირველ რიგში, უნდა შევიყვაროთ იესო ქრისტე, რომლისგანაც მოგვეცა ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მასზე წინ არ უნდა დავაყენოთ არავინ და არაფერი. ეს არის ყოვლად აუცილებელი პირობა ჩვენი გადარჩენისა; წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი შეცდომებისა და არასწორი აზროვნებისაგან არაფერი დაგვიცავს.

ხოლო ვისაც ამგვარი განცდა და ცოცხალი სარწმუნოება არა აქვს, მისთვის საეკლესიო მსახურება, უფლის სწავლანი და საიდუმლოებები გაუბრალოებულია, მხოლოდ რიტუალია და სიღრმისეულ აზრს მოკლებული სიტყვები. ამ მდგომარეობაში შეიძლება იყოს როგორც მრევლის წევრი, ისე სასულიერო პირი.

ამგვარი ადამიანის აღსარება და სინანული არაგულწრფელია, შედეგი–უღირსი ზიარება და სულის გაუხეშებაა. ეს არის ნელ-თბილი სარწმუნოება, რომელიც მეტად საშიშია და მიუღებელი ღვთისთვის.

სინანულს ბერძნულად „მეტანია" ქვია, რაც სიტყვა-სიტყვით თარგმანში „გონების შეცვლას" ნიშნავს. აი, ეს უნდა მოხდეს ჩვენში! მაგრამ ამას კი ვერ მივაღწევთ, თუ მუდმივად არ ვაკვირდებით საკუთარ თავს, თუ აღსარებიდან აღსარებამდე ჩვენში უკეთესობისაკენ მცირედი ცვლილება მაინც არ ხდება, თუ ცოდვას არ ვუპირისპირდებით და არ ვებრძვით.

ზოგიერთი ეშმაკის გავლენით, პატივმოყვარეობის ან სირცხვილის გამო ბოლომდე არ აღიარებს ცოდვას, ან შელამაზებული სახით ამბობს სათქმელს და ამით ხელს უშლის საკუთარ განწმენდას.

ამ დროს პირიქითაა, მძიმე დანაშაულის ჩამდენის გულწრფელი სინანული სასულიერო პირს მისდამი თანალმობით განაწყობს და სწორი რჩევის მიცემის საშუალებას აძლევს; ადამიანს კი უფალი წყალობას მაშინვე ანიჭებს.

დიდ პრობლემას ქმნის ორიენტირების აღრევაც, –როდესაც ზოგიერთი საშუალებას მიზნად მიიჩნევს, მიზანს კი,–საშუალებად.

საერთოდაც, ბევრი რამ არის ჩვენს ყოფაში გაუკულმართებული: ხშირად ადამიანის სიცოცხლეს იოლად ხელყოფენ, არადა, ადამიანის მკვლელობა უდიდესი ცოდვაა. უფლება არა გვაქვს, ღვთის მიერ ბოძებული სიცოცხლე წავართვათ ვინმეს.

ასევე უმძიმესი და მკვლელობის ტოლფასი ცოდვაა აბორტი. ამ მომაკვდინებელი დანაშაულის ჩამდენნი არა მხოლოდ მშობლები არიან, არამედ ისინიც, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ამ ქმედებაში.

დიდად ვწუხვართ თვითმკვლელთა რიცხვის ზრდის გამო. სიცოცხლე ღვთის უდიდესი წყალობაა და დაუშვებელია ვინმემ თავისი ნებით მოისწრაფოს იგი. ამ ცოდვის ჩამდენთ ტყუილად გონიათ, რომ სიკვდილით პრობლემებისგან გათავისუფლდებიან და ვერ აცნობიერებენ, რომ თავს მარადიული სატანჯველისთვის წირავენ.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი შრომას გადაეჩვია. არადა, შრომა აუცილებელია როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი და სულიერი.

მშობლებმა ბავშვობიდანვე უნდა შეაყვარონ შვილებს ეს საქმე. ამასთან, უნდა აღზარდონ ისე, რომ ღვთის სიყვარულთან ერთად სამშობლოს და მოყვასის სიყვარული ასწავლონ. ასწავლონ, სირთულეების დაძლევა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

ჩვენ დიდი იმედით ვუყურებთ ახალგაზრდებს; მართალია, მრავალი მათგანი სერიოზულ შეცდომებს უშვებს ემონება-რა ნარკომანიას, ლოთობას, გარყვნილებას.., მაგრამ გვჯერა, ღვთის მადლით, ისინი შეიცნობენ ამ ცოდვათა დამღუპველობას და ღმერთს დაუბრუნდებიან; მიხვდებიან, ცხოვრებისეული ჯვარი იმიტომ მოგვეცა, რომ იგი რწმენითა და სიყვარულით ღირსეულად ვატაროთ და ჩვენი ჯვარცმა,–განსაცდელები და პრობლემები,–ჩვენს აღდგომად და ამაღლებად გადავაქციოთ.

არასწორმა ცხოვრების წესმა დაარღვია ტრადიციული ურთიერთობებიც. მაგალითად, ქართული სუფრა ყოველთვის იყო სამშობლოს, მეგობრობის, სიყვარულის, თანადგომის, ვაჟკაცობის სადიდებელი, ჭირის სუფრა კი, - გარდაცვლილთა მოსაგონარი და შესანდობარი. როგორც ერთი, ისე მეორე სერობა იწყებოდა და მთავრდებოდა ღვთის დიდებით. ახლა კი, ასეთი შეკრებები ხშირად დაუსრულებელ ქეიფად და ღრეობად იქცა, სადღეგრძელოები კი,–ფარისევლურ ქება-დიდებად, რაც უნდა გამოსწორდეს. რაკი ღვინისა და, საერთოდ, პურობის საკითხს შევეხეთ, აღვნიშნავთ იმასაც, რომ საუკუნეების მანძილზე მევენახეობა და მეხორბლეობა ჩვენი ყოფის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა. ქართველი კაცი მასში განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც დებდა და ზიარების საიდუმლოს აღსასრულებელ შესაწირად აღიქვამდა. ამიტომაც ამ კულტურებზე ზრუნვა საუფლო საქმედ მიიჩნეოდა.

ათეისტური რეჟიმის დროს ეს დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა, - უნიკალური ქართული ხორბლის და სავენახე (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსა და მესხეთ-ჯავახეთში) ჯიშები ზოგი მთლიანად, ზოგი ნაწილობრივ განადგურდა და მათი ადგილი ჰიბრიდულმა, ნაკლებად შრომატევადმა ჯიშებმა დაიკავა. ამას დაემატა ღვინის შაქრით ფალსიფიცირება, რაც ადრე ყოვლად წარმოუდგენელი რამ იყო. ასე შეილახა და გაუბრალოვდა საკრალური დატვირთვის მქონე ვენახისა და ხორბლის მნიშვნელობა.

საჭიროა, შევიცვალოთ დამოკიდებულება და სწორ ორიენტირებს დავუბრუნდეთ. მადლობა ღმერთს, დღეს მდგომარეობა უკეთესობისაკენ იცვლება და ამაში გულანთებული უანგარო ადამიანების დიდი ღვაწლია ჩადებული.

მინდა ყურადღება გავამახვილო ცოდვისადმი ნელ-თბილი ადამიანის დამოკიდებულების რამდენიმე გამოვლინებას: ვიღაცას ჰგონია, რომ როცა სხვას შეურაცხჰყოფს, ან ცილს დასწამებს, უმიზეზოდ განურისხდება, ან ბილწსიტყვაობით აჯობებს, ეს დიდი ცოდვა არ არის,–მწარედ ცდებიან.

თუ გავაანალიზებთ, აღმოვაჩენთ, რომ მკვლელობებისა და თვითმკვლელობების ძირითადი მიზეზი არის ვიღაცის გაბოროტებული სიტყვა. ხშირად ოჯახებიც შელაპარაკების ნიადაგზე ინგრევა; უხეში სიტყვის გამოყენების პრაქტიკამ ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში, მასმედიაში. . .

სიტყვა უდიდესი ძალაა. ღმერთი არის სიტყვა, ხოლო ავი სიტყვა ეშმაკისეული გამოვლინებაა. თითოეული ჩვენი ნათქვამი ბუმერანგივით დაგვიბრუნდება. შეგახსენებთ მაცხოვრის დარიგებას: „მე გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას (ანუ მოყვასს), სამართალში უნდა მიეცეს, ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას: რაკა (უგუნურო), სინედრიონის (სამსჯავროს) უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის თავის ძმას: შლეგო (ცოფო, უსინდისო), ცეცხლის გეენიაში უნდა ჩავარდეს (მათე. 5,22).

იაკობ მოციქული კი გვაფრთხილებს: „პატარა ცეცხლი რამხელა ტყეს ჰბუგავს, ენაც ცეცხლია, სიცრუის სამკაული. ენას ისეთი ადგილი უჭირავს ჩვენს ასოთა შორის, ბილწავს მთელ სხეულს და ცეცხლად აქცევს სიცოცხლის ჩარხს". (იაკობ.3, 5-6) ამიტომაც მეტყველებისას ყველას დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გვმართებს.

შევეხები მეტად საშიშ და სერიოზულ პრობლემას,–სათამაშო ბიზნესს. ეს საქმიანობა, მართალია, ბიუჯეტისთვის ალბათ, მომგებიანია, მაგრამ იგი იმდენად უარყოფითი მოვლენაა, რომ ბევრ ქვეყანაში საერთოდ აკრძალულია. ჩვენთან კი მას ბოლო დროს ინტერნეტ-სამორინეც (კაზინო) დაემატა.

თუ ჩვეულებრივ სამორინეში (კაზინოში) ასაკს ყურადღებას აქცევენ და გარკვეული თანხის ქონა აუცილებელია, ინტერნეტ-სივრცეში ეს შეზღუდვა არ არსებობს; ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომელთაც ისედაც მცირე ფინანსები აქვთ, ცდუნებას ვერ უმკლავდებიან და დიდ ვალში და დიდ პრობლემებში ვარდებიან.

კატასტროფულად იზრდება მათი რიცხვი, რომელნიც მიჯაჭვულნი გახდნენ ამ საცდურზე; ბევრმა ქონება დაკარგა, მრავალი ოჯახი დაინგრა, ზოგმა თავიც მოიკლა.

ვფიქრობთ, ხელისუფლებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ამ მიმართულებით და შესაძლებლობისამებრ დაიცვას ქვეყნის აწმყო და მომავალი.

აქამდე იმათ შესახებ ვისაუბრეთ, რომელთაც ღმერთის არსებობა სწამთ; რაც შეეხება ურწმუნოთა, ადრეც მითქვამს და კვლავ გავიმეორებ, რომ მატერიალურ-ტექნიკურმა წინსვლამ და სულიერ განვითარებაზე ნაკლებმა ზრუნვამ დიდად შეუწყო ხელი ადამიანში ამპარტავნებისა აღზევებასა და ათეისტური ცნობიერების ჩამოყალიბებას, იმ აზრის განმტკიცებას, თითქოს მისთვის საიდუმლო აღარ არსებობს, რომ თვითონ შეუძლია ყველაფერი მართოს და განაგოს. მაგრამ უღმერთო კაცმა დღემდე ვერ იპოვა უმთავრესი,–სიცოცხლის საზრისი, და ვერც სიკვდილის საიდუმლო ამოხსნა. აქედან გამომდინარე, ცუდი და კარგი, ცოდვა და მადლი, მისთვის ფარდობითი და პირობითი ცნებები გახდა. ამიტომაც ასე მოაზროვნე საზოგადოება ადვილად მივიდა ცოდვის და გაუკულმართებული ურთიერთობების დაკანონებამდე.

მართლაც, თუ არ არსებობს ღმერთი, რა თქმა უნდა, არ არსებობს არაფერი მიუღებელი, არ არსებობს არანაირი სულიერი მიზანი, რომლისკენაც იგი უნდა ისწრაფვოდეს, ანუ სიცოცხლეს, ფაქტობრივად, არ აქვს აზრი.

რჩება მხოლოდ წარმავალი მიწიერი ყოფა და ამქვეყნიური ვნებები, სიმდიდრითა და პატივით მიღებული დროებითი სიამოვნება, რომლის შედეგი სასოწარკვეთა და დეგრადაციაა, დასასრული კი, - არარაობა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქვეცნობიერად ყველამ, მორწმუნემაც და ურწმუნომაც–მეტ-ნაკლებად იცის, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე მაინც გრძელდება. ამას იგი გრძნობს იმ წარუშლელი ღვთიური ნაპერწკალით, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია ჩადებული შემომქმედისაგან და რომლის საშუალებითაც სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე რჩება შესაძლებლობა სინანულის, მოქცევისა და ღმერთთან შერიგებისა.

გავიხსენოთ ავაზაკი, რომელმაც სულიერი ფერისცვალება სიკვდილის წინ, ჯვარზე გაკრულმა, განიცადა და მაშინვე ღირსი გახდა, პირველი შესულიყო სასუფეველში.

ჩვენ ვცხოვრობთ რელიგიური აზროვნებისა და იდეოლოგიების ზეობის ეპოქაში;

როგორც ერთ-ერთი ცნობილი თეოლოგი ამბობს, რელიგიასა და იდეოლოგიას შორის უდიდესი განსხვავება იმაშია, რომ რელიგია და რწმენა ყოველთვის ძალზედ პირადულია და ღრმა შინაგანი გამოცდილებით მიიღწევა, მაშინ როცა ნებისმიერი იდეოლოგია ყოველგვარ პირადს, როგორც უსარგებლოს, უარყოფს.

ამიტომაც არის, რომ არც ძველი და არც რომელიმე თანამედროვე იდეოლოგია, პიროვნების იდეას არ სცნობს.

ადამიანი ყველაფერზე მაღლა იესო ქრისტემ დააყენა და იგი გახადა თავისი უდიდესი სიყვარულის ობიექტი. ამასთან, ადამიანს მან უდიდესი ნიჭი,–თავისუფლება უბოძა და მისცა არჩევანის საშუალება. თითოეული ჩვენგანი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად დღესაც ყოველწუთს აკეთებს არჩევანს კეთილსა და ბოროტს, ღმერთსა და ეშმაკს შორის და ეს ჩვენი უფლებაა.

ჩვენი ნება ღვთის ნების შესაბამისი უნდა გახდეს, მაგრამ, არა იმიტომ, რომ ასე ვინმემ გვიბრძანა, არამედ იმიტომ, და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენს დიდ სურვილად და სწრაფვად უნდა იქცეს; იმიტომ, რომ ჩვენ მოვინდომეთ, გავხდით ადამიანები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, უდიეტო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, იეზიდნო, ქისტნო, ასირიელნი, სხვანო ყოველნო, ჩვენ ყველანი ხატად და მსგავსად ღვთისა ვართ შექმნილნი და თითოეული ჩვენგანის სულშია ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც დღეს ღაღადებს,–ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

მართლაც, ყველასთვის აღდგა ქრისტე, ყველა ადამიანს შეუძლია შეცვლა და ფერისცვალება, რადგან, როგორც წმ. ირინეოს ლიონელი ბრძანებს, ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია.

მაშ, ვმადლობდეთ უფალს, რომელიც სიხარულით შეგვიძღვა თავისი აღდგომის ნავთსაყუდელში, ვმადლობდეთ ყოველნი, რომელთაც კეთილად განვლეთ სარბიელი მარხვისა; ვმადლობდეთ ისინიც, რომელნიც უძლურ ვიქმენით ამგვარი ღვაწლისა (სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი). ამიერიდან ნუღარავინ ჰძრწის და ეშინის, ჭეშმარიტი სიყვარული და მარადიული სიცოცხლე დაუბრუნდა კაცობრიობას; იხარებს ადამის მოდგმა და მთელი სამყარო!

ქრისტე აღდგა!

აღსდექით თქვენც და მასთან ერთად ეგეთ უკუნისამდე

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია II

აღდგომა ქრისტესი თბილისი, 2015 წელი.

„დიალექტები დედამდინარეთში, ანუ ქართულ ენაში ჩამავალი ნაკადულებია“

მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორი–ქართველი ერის შემოქმედებითი გენიის ნაყოფი–არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის კუთვნილებაა. საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა ქართული ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები–მომღერალთა, მოცეკვავეთა, ხალხურ მელექსეთა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა სწორუპოვარი შემოქმედება: ქართული მრავალხმიანი სიმღერა, ქართული ცეკვა, ზეპირსიტყვიერება, ქართული ჩუქურთმა, ფარდაგი, კერამიკა, ტიხრული მინანქარი, კედლის მხატვრობა, ქართული სამოსი, ოქრონემსული, ოქრომკედითა და ვერცხლიმკედით ქარგულობა, ქართული საჭურველი... საქართველო ვოკალური მრავალხმიანობის კლასიკური ქვეყანაა.

ქართულმა ხალხურმა მრავალხმიანმა სიმღერამ განვითარებისა და სრულყოფის ხანგრძლივი პერიოდი განვლო. დროთა განმავლობაში გროვდებოდა, თვისობრივად და რაოდენობრივად იცვლებოდა ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკა. ქართული საგალობლების ნოტირებით, ქართული ხალხური სიმღერების ფონოგრაფით ჩაწერა-დაფიქსირებითა და ქართული სიმღერის სცენაზე გადატანით. ფოლკლორი, ქართული ხალხური სასიმღერო ხელოვნება, ეროვნული ცნობიერების თვალსაწიერში მოექცა. გაჩნდა ბუნებრივი მოთხოვნილება საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერების ერთად თავმოყრისა და ამ ერთიანობის სცენაზე ხილვისა.

ქართული სასიმღერო ფოლკლორი და ცეკვა ყოველთვის უდიდეს გავლენას ახდენდა უცხოელებზე. ფოლკლორის საარსებო სოციალური გარემოს შეცვლამ–ტექნიკურმა პროგრესმა, ყოფიდან მრავალი წეს-ჩვეულების გაქრობამ, მდარე მასობრივი პროდუქციის გავრცელებამ იმოქმედა ქართულ ფოლკლორზე, მაგრამ იმედის მომცემია ბოლო წელში მომხდარი ძვრები, თუნდაც ქართული ფოლკლორის დაცვის ნაციონალური საპრეზიდენტო პროგრამა, რომლის ფარგლებში უამრავი პროექტი განხორციელდა. დღეს ქართული ფოლკლორის ვექტორი მიმართულია უნიკალური მემკვიდრეობის გადასარჩენად და დასაცავად. ამის დასტურია ხობში სულ ახლახანს გახსნილი ფოლკლორის სკოლა, სადაც ბავშვები უფასოდ ეუფლებიან ქართულ ხალხურ (მეგრულ) სიმღერებს, ქართულ ტრადიციულ გალობას.

17 აპრილს, ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ხობის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში შეხვედრა გამართეს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელმა, ეთერ თათარაიძემ–ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, 13 წიგნის ავტორმა და ათამდე წიგნის შემდგენელ-რედაქტორმა, რამდენიმე ლიტერატურული პრემიის მფლობელიმა და ფოლკორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელმა ნანა ვალიშვილმა. ნანა ვალიშვილი გახლავთ ეთნომუსიკოლოგი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი. ეწევა საექსპედიციო საქმიანობას. არის ხალხური სიმღერების კრებულების მუსიკალური რედაქტორი.

ფოლკლორის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებს და არა მხოლოდ მათ, ლექცია-საუბარი ჩაუტარდათ თემაზე „ქართული ფოლკლორი“.

შეხვედრის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის ხალხური შემოქმედების კუთხით თვალსაწიერის გახსნა და ზეპირსიტყვიერების შენარჩუნება.

შეხვედრას ფოლკლორის სკოლის ლოტბარ-რეგენტები, მოსწავლეები, სამუსიკო სკოლისა და საჯარო სკოლის პედაგოგები, ბიბლიოთეკის თანამშრომლები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია ესწრებოდნენ.

საინტერესო და მაღალი დონის შეხვედრის შემდეგ პატივი მერგო თავად გავსაუბრებოდი ქალბატონ ეთერს.

ქალბატონო ეთერ, მე თქვენ აწგანსვენებული ვახუშტი კოტეტიშვილის სატელევიზიო გადაცემებიდან მახსოვხართ, მახსოვს თქვენს მიერ წაკითხული თქვენივე შემოქმედება თუშურ დიალექტზე:

„ამიტომ დიალექტი დედამდინარეთში ანუ ქართულ ენაში ჩამავალი ნაკადულებია და თუ დედამდინარეთს ამ ნაკადულებს დავუშრეტთ, იგი ვეღარ იარსებებს, გაქრება და მოკვდება. შემიძლია ვთქვა, რომ ყველა დიალექტი არამარტო თუშური, არის უსაზღვრო შესაძლებლობის მქონე. ზღვარი არა აქვს ქართულს, მწვერვალი არა აქვს, ფსკერი არ უჩანს. წარმოუდგენელი სიმდიდრეა ჩვენს დიალექტებსა და კილოკავებში.და ეს ყველაფერი დავიწყებას რომ არ მიეცეს, გაფრთხილება, მოვლა და მიხედვა სჭირდება.

როგორ შეაფასებდით დღევანდელ შეხვედრას?

მოდით ასე დავიწყებ, მე ფოლკლორით ვცოცხლობ და ეგ არის მთელი ჩემი ცხოვრება და დანიშნულება. მინდა რაც შეიძლება მეტი სიბრძნე შევაგროვო. ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს ვაგროვებ და ამით ძალიან ბედნიერი ვარ, საერთოდ ძალინ დიდი ბედნიერებაა ადამიანისათვის საყვარელი საქმის კეთება, დაღლას კი არა სიბერესაც ვერ ვგრძნობ. გულით საყვარელი საქმის კეთება ბევრი ჭირის თავიდან არიდებას უდრის. მე ვმადლობ უფალს იმისათვის, რომ მომეცა შესაძლებლობა საყვარელი საქმე მეკეთებინა. ხოლო რაც შეეხება დღევანდელ დღეს, ჩემთვის ძალიან ამაღელვებელია, დავათვალიერე ძუკუ ლოლუასა მუზეუმი. რა საოცრებაა, საქართველოში ერთადერთი სიმღერის მუზეუმი ხობშია, პირველად ფოლკლორის სკოლაც ხობში გაიხსნა. მადლობის მეტი რა მეთქმის კულტურის სამსახურის და მთლიანად მუნიციპალიტეტის მესვეურთა მიმართ. თქვენ ხართ პირველი მერცხლები იმ საქმისა, რასაც ფოლკლორის სკოლის გახსნა უკავშირდება. იმ დიდი შრომისათვის რაც ასე მოკლე დროში ქალბატონმა როზეტამ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად გასწია უდაოდ დიდი მონაპოვარია, მათ მიერ მოძიებული მასალების ნაწილი უკვე გადმოგზავნილია ჩვენს ცენტრში. ჩემი სურვილია ბავშვები ჩავრთოთ, ვასწავლოთ თუ როგორ უნდა მოიძიონ სიტყვაკაზმული ზეპირსიტყვიერება. ასე უკეთ გაეცნობენ თავიანთი კუთხის ფოლკლორს. ერთი რამე მინდა კიდევ გითხრათ, ისევე როგორც ჩემს საკუთარ შვილებს, სიწრფელით, სიმართლით და ერთმანეთის სიყვარულით ცხოვრებას გისურვებთ. გაუფრთხილდით ერთმანეთს, გიყვარდეთ სამშობლო და ქართული ენა.

გმადლობთ სასიამოვნო ლექციისთვის და იმისათვის, რომ ჩემთან სასაუბროდ დრო გამონახეთ.

დღის კომენტარი:

მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი

როზეტა შულაია:

–დღევანდელი დღე ერთ–ერთი განსაკუთრებულია თავისი მნიშვნელობით, რადგან უპრეცენდენტოა ფოლკორის სახელმწიფო ცენტრის პროექტი–წამომადგენლობების გახსნა რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში. ფოლკლორის წარმომადგენლობის ხობში შექმნა, კი უბრალო დამთხვევა ნამდვილად არ ყოფილა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ადილობრივ ხელისუფლებას, ხობის მაჟორიტარ დეპუტატს საქართველოს პარლამენტში ამ ინიციატივის მხარდაჭერისათვის, რამაც ტაძრებს მგალობლები შემატა, სცენას კი მეგრული სიმღერის შემსრულებლები. მადლობას ვუხდი ლოტბარ ნუგზარ ზარანდიას და რეგენტ ნინო ცხვიტარიას, რომელთა დაუღალავი შრომის შედეგი გვაძლევს ოპტიმიზმის საშუალებას, რომ მიეცეთ მშობლებს ღირსეული ტრადიციით შვილების აღზრდის სურვილი და შესაძლებლებობა,

ხობი–ისეთი მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის მატარებელია, როგორიცაა ხობის საერთაშორისო ფესტივალი . „სიმღერა სამეგრელოზე“ .ფესტივალი, რომელიც ნებისმიერ დროს სულიერი შემოძახილია ხობელთათვის და არა მხოლოდ ხობელთათვის. ამავდროულად სულიერი ვალდებულება, რომ არ დავიწყოთ მეგრული სიმღერა, გასაოცარი კუთხური ზეპირსიტყვიერება, უნიკალური მელოდია, უნიკალური სიტყვები, რომელიც დედოსაწყისია ქართული ენისა და შემომნახველი პირველქართული კოლხური კულტურისა.

საქართველოში ერთადერთი სიმღერის მუზეუმის ხობში არსებობა უმნიშვნელოვანესი ბაზაა– ამ მამულიშვილური საქმის განსახორციელებლად. ამიტომაც ძუკუ ლოლუას სახელობის მუზეუმში უკვე დაგეგმილია თემატური კონფერენციების, ღია გაკვეთილების იმ სივრცეში ჩატარება. ჩვენ დღევანდელი შეხვედრის ფორმატში ერთობლივად განვიხილეთ კონკრეტული მიმართულებები, მნიშვნელოვანი კონსულტაციები გავიარეთ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკალური მიმართულებების ხელძღვანელებთან ეთერ თათარაიძესთან და ნანა ვალიშვილთან. მნიშვნელოვანია მათი დამოკიდებულება „ეს ისეთი ადგილია, სადაც მოწიწებით უნდა მოდიოდნენ თაობები, ეს არ უნდა იყოს ყოველდღიური, გაუბრალოებული, ამიტომაც, ამ დაგეგმილი თემატური კონფერენციები, ღია გაკვეთილები, რომელსაც ჩაატარებენ პროფესიონალი ფოლკლორისტები–ეს ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენლობის ხობელი აღსაზრდელებისათვის უდიდესი სულიერი საგანძურია.

ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესაკრებად მუშაობა უკვე დაწყებულია, ნამუშევრების ნაწილი უკვე წარმოდგენილია და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მათი დამუშავება.

ფოლკლორის სახელწიფო ცენტრი მუდმივად იქნება ჩართული მოსწავლეთა განვითარებისა და განათლების საკითხებში. ვემზადებით თემატური კონკურსისათვის.

მოსწავლეები უკვე გადიან სპეციალური პროგრამით შემუშავებულ კურსს, რეგენტსა და ლოტბარს აქვთ მუდმივი თემატური კონსულტაციები სახელწიფო ცენტრთან.

ნინო გერგაია.

სკოლა–ჩემი მეორე ოჯახი

ბევრი ჩვენგანი იღბლიანია იმის, გამო, რომ მისთვის დიდებულ და ღირსეულ მასწავლებლებს უსწავლებია. მასწავლებლებს, რომლებიც არამხოლოდ გვასწავლიან, არამედ ჩვენს ზნეობრივ და მორალურ აღზრდაზეც ზრუნავენ. მართლაც ამ პროფესიის ადამიანები უდიდეს (დადებით თუ უარყოფით) გავლენას ახდენენ ბავშვის აზროვნებაზე, მათ პროფესიულ მომავალსა და მისწრაფებებზე. მასწავლებელი ხშირად არის შუქურა სინათლისა და განათლებისა. 50 წელია, რაც ქალბატონი ინეზა წურწუმია პროფესიულ საქმიანობას ეწევა ხობის №1 საჯარო სკოლაში. სხვადასხვა დროს გავლილი აქვს ყველა სახის სერთიფიცირებები, დამსახურების მიხედვით მინიჭებული აქვს უმაღლესი პედაგოგის კატეგორია, საუბრისას აღნიშნა: „ჩემს მშობლიურ სკოლაში 25 წლისა მოვედი და აქვე შემისრულდა 75 წელი“.

შტრიხები პორტრეტისთვის

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ გურიფულში 1940 წლის 10 თებერვალს მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. ბავშვობის წლების გატარებამ ომიანობის პერიოდში მოუწია. სწავლობდა ხობის საშუალო სკოლაში. დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი.

პედაგოგების ოჯახში აღზრდილმა თავადაც ეს პროფესია აირჩია, მამა–არკადი წურწუმია წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სკოლას და თან განათლების სისტემაში კურირებდა მეთოდგაერთიანებას. დედა–მარიამ კოკაია-წურწუმია რაიონში დაწყებით კლასებში ერთ-ერთი გამორჩეული პედაგოგი იყო.

ჰყავს ერთი შვილი და შვილიშვილი.

თქვენი პროფესიის არჩევა თქვენი პიროვნებიდან მომდინარეობდა? ანუ იყო ეს თავისუფალი არჩევანი? თუ ამაში წვლილი ვინმეს მიუძღვის?

–ჩემი პროფესიის არჩევა განაპირობა, ჩემმა ოჯახმა და საზოგადოებრივმა დამოკიდებულებამ განათლებისადმი, ხოლო რაც შეეხება სპეციალობას, ეს ჩემი გერმანული ენის პედაგოგის ნინა გოგინავასადმი სიყვარულითაა განპირობებული.

რა არის თქვენთვის ხობის №1 საჯარო სკოლა?

–ხობის №1 საჯარო სკოლა ჩემთვის ყველაფერია, ჩემი ოჯახია, იქ ჩემი საუკეთესო მეგობრებია. სადაც მთელი ცხოვრება გავატარე. ახლა საუკეთესო მეგობრების და კოლექტივის მოგონებით ვცხოვრობ. ვამაყობ, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ამ დიდებულ, დაფასებულ და რესპუბლიკაში აღიარებულ კოლექტივთან გავატარე.

ათეული წლის წინ მოსწავლეები იყვნენ განსაკუთრებით მოტივირებულნი, ნაკითხნი, თავაზიანები, ყურადღებიანები და მიზანდასახულნი...

ვინ იცის რამდენმა „გამოშვებამ“ გაიარა თქვენს ხელში...

–ამ 50 წლის განმავლობაში მიჭირს მოვიგონო რამდენმა გამოშვებამ გაიარა ჩემს ხელში, მაგრამ ყველა საუკეთესო კლასი და მოსწავლე მახსოვს. დღესაც თვალწინ მიდგას თითოეული მათგანის გარეგნობა. ახლა როცა ვხვდები მათ ჩამოყალიბებულ და ასაკშეპარულ პიროვნებებს, ქვეყანა ჩემი მგონია.

რა გაწუხებთ?

–წლების განმავლობაში გაწეული შრომის დაუფასებლობა, რაც გამოიხატება სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიის გაუცემლობაში, რაც ჩემს გარდა, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს აწუხებს და შეურაცხყოფს.

ესაუბრა ნინო გერგაია.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მთავრობის ერთ-ერთი ინიციატივაა. მისი ძირითადი მიზნებია: საქართველოში მეწარმეობის ხელშეწყობა, ადგილობრივი წარმოების სტიმულირება, ახალი საწარმოების ამუშავება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ქართული პროდუქციის წარმოება და მისი ხარისხის უზრუნველყოფა.

ამ პროგრამას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. უნდა აღვნიშნო, რომ პროგრამის მიმართულებების განსაზღვრა მოხდა მთავრობის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა მონაცემთა ანალიზს.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 46 მილიონ ლარს, აქედან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებაზე დაიხარჯება 30 მილიონი ლარი.

ამ პროექტის ფარგლებში, მოვიძიეთ ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული საწარმოები, რომლებმაც სწორედ მთავრობის ზემოაღნიშნული პროგრამით მოიპოვეს დაფინანსება და წარმატებით დაიწყეს ფუნქციონირება.

ჩვენი გაზეთი მუდმივად შემოგთავაზებთ მასალებს ახალი საწარმოების გახსნის, მათი მუშაობისა და მთავრობის მხრიდან დაგეგმილი დახმარებების შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

დღევანდელი ჩვენი გაზეთის სტუმრები არიან შ.პ.ს. „კოლხეთი და კომპანიას“ დირექტორი ბატონი **გიორგი ბუკია** *და ამავე კომპანიის მენეჯერი ბატონი* **ანატოლ სიჭინავა.**

„აწარმოე საქართველოში“ – წარმატებული პროექტი

ბატონო გიორგი, თქვენ ბიზნესმენი ბრძანდებით, როგორია თქვენი, როგორც ბიზნესმენის ზრდის დინამიკა, გარდა გამოცდილების შეძენისა, რა ღირებულებები და თვისებები შეიძინეთ?

–ჩემი ჩართულობა ბიზნესში დაიწყო მას შემდეგ, რაც შპს „კოლხეთი და კომპანიაში“ დირექტორად დავინიშნე. კომუნიკაციის პრობლემა არასდროს მქონია, ხშირად მიწევს მოსახლეობასთან ურთიერთობა, საიდანაც ვიღებ ძალიან დიდ გამოცდილებას და ვსწავლობ ადამიანის ფსიქოლოგიას, რაც შემდგომში მეხმარება საქმის სწორად წარმართვაში. ვაფასებ პატიოსან, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებს.

რას მოიცავს თქვენი ბიზნესის სფერო, რამდენი წლის ისტორია აქვს მას?

–ჩემი საქმიანობის სფერო არ მოიცავს მხოლოდ სოფლის მეურნეობას, კომპანიას ასევე აქვს საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც საოფისე ფართებზე, ისე მიწის ნაკვეთებზე. შუახორგის ადმინისტრაციულ ერთეულში 2013 წელს ფიზიკური პირისგან შევიძინეთ სახნავი მიწის ნაკვეთები და ტბორი, სადაც მიმდინარეობს ერთწლიანი კულტურის მოყვანა, ხოლო ტბორში ხდება სამი სახეობის თევზის გამოზრდა (კობრი, ამური, სქელშუბლა) და შემდგომი რეალიზაცია.

იყო თუ არა სირთულეები თქვენი ბიზნესის განვითარების საქმეში, გული გაგტეხიათ თუ პრობლემამ უფრო გაგაძლიერათ?

–სირთულეების გარეშე წარმოუდგენელია საქმის კეთება. მითუმეტეს, როცა რაღაც ახალს იწყებ, ისეთს, რაშიც გამოუცდელი ხარ. ხშირად იჩენს თავს გაუთვალისწინებელი ნიუანსები, რასაც მოსდევს იმედგაცრუება, მაგრამ ეს ყველაფერი გვეხმარება სხვა კუთხით შევხედოთ პრობლემას, ვეძებოთ მისი მოგვარების გზები.

ყველაზე მეტად სად და როდის აწყდებით პრობლემებს?

–არის სხვადასხვა ტიპის პრობლემები, რაც მუშა პროცესის თანმდევია, მაგრამ ყურადღებას გავამახვილებ შედარებით მნიშვნელოვანზე. ჩვენს მიერ დაწყებულ და განსახორციელებელ პროექტებში ძირითად პრობლემად რჩება კვალიფიციური კადრების მოძიება. დარწმუნებული ვარ, ჩვენს მუნიციპალიტეტში არის საკმარისი ადამიანური რესურსი, უბრალოდ, ჩვენ ერთმანეთი უნდა ვიპოვოთ.

თავისუფალია თუ არა ბიზნესი დღეს?

–ჩემი ამ სფეროში ჩართულობის დღიდან არ შემქმნია ხელოვნური დაბრკოლება ან ბარიერი მთავრობის მხრიდან. ვფიქრობ, ახლა უფრო მეტი შესაძლებლობა არის ბიზნესის კეთებისთვის.

როცა თქვენი საწარმო ამუშავდება, რამდენი ადამიანის დასაქმებას ფიქრობთ, როგორი იქნება დაახლოებით მათი ანაზღაურება?

–სარემონტო სამუშაოების პროცესში დავასაქმეთ 30-მდე ადგილობრივი მუშახელი, რაც ამ ეტაპისთვისაც გრძელდება. ხოლო ექსპლუატაციაში შესვლიდან ვგეგმავთ 28- 32 ადამიანის დასაქმებას, რომელთა საშუალო ხელფასი იქნება 350-500 ლარი.

რითი იქნება განსხვავებული თქვენი საწარმო მსგავსი საწარმოებისგან?

–ჩვენი პროექტი „კოლხური ნობათი“, მოიცავს როგორც ადგილობრივი ჯიშის ძროხების მოშენებას და მათგან მერძევეულეხორცეული წარმოების შექმნას, ასევე მეფრინველეობის ფერმის მოწყობას, კვერცხის გამოჩეკვიდან ფრინველის სარეალიზაციო წონამდე მიყვანას, შემდგომ კი მას კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნორმების დაცვით, პროდუქტის სახე მიეცემა. მოხდება პროდუქტის შეფუთვა, რაც ვფიქრობ ადგილობრივ ბაზარზე სიახლეა. ასევე იგეგმება ღია ტიპის მეფრინველეობის ფერმის მოწყობა, სადაც ვგეგმავთ მოვაშენოთ სხვადასხვა ჯიშის ქათამი, ინდაური, იხვი, ბატი, ციცარი, მწყერი და კოლხური ხოხობი. რომელიც გათვლილი იქნება სასტუმროებისა და რესტორნებისთვის.

ვინ არიან თქვენი პარტნიორები, როგორ თანამშრომლობთ მათთან?

–ჩვენი პარტნიორების ჩამონათვალი მრავალფეროვანია და ბევრ სფეროს მოიცავს, როგორც საიჯარო თანამშრომლობიდან, ისე პროექტების განხორციელების გზაზე.

თქვენ მოიპოვეთ იაფი კრედიტის აღება მთავრობის მიერ შემუშავებულ პროექტზე „აწარმოე საქართველოში“, როგორ შეაფასებთ ამ პროექტს, ადრე თუ ყოფილა მსგავსი პროგრამები?

–„აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებში ჩვენ გადმოგვეცა შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი მეცხოველეობის ფერმა და დამხმარე ნაგებობები სიმბოლურ ფასად–1 ლარად. რომლის ღირებულება არის 30555 ლარი, მაგრამ ამ შეთანხმებას ახლავს ვალდებულებები, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩვენ ჩამოგვერთმევა ზემოაღნიშნული ობიექტი. ეს ვალდებულებებია: 2 წლის განმავლობაში ქონების ღირებულების ოთხმაგი (122 220 ლარი) ინვესტიციის განხორციელება. ჩვენ ამ პროექტში, ვახორციელებთ 250 000 ლარის ინვესტირებას. 2 წლის განმავლობაში უნდა შევქმნათ საწარმო, რომლის მინიმალური წარმადობაც არის განსაზღვრული ხელშეკრულებით. ბუნებრივია, ამ პროცესს თან ახლავს სამუშაო ადგილების შექმნა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ხორციელდება პერიოდული მონიტორინგი სააგენტოსგან, ასევე შეხვედრები, რომლის მიზანიც არის პროექტის განხორციელების პროცესში არსებული პრობლემების მთავრობამდე მიტანა.

ხართ თუ არა ვინმესთან ანგარიშვალდებული ამ პროექტის განხორციელების გზაზე, თუ ხართ, რა ფორმით?

–ანგარიშვალდებული პირველ რიგში ვართ სახელმწიფოს წინაშე „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით ბანკთან, რომელმაც გამოგვიყო კრედიტი, სამინისტროებთან და სააგენტოებთან, რომლებმაც ჩვენი დაინტერესების დღიდან გამოიჩინეს საქმის მიმართ დაუღალავი შრომა და პროფესიონალიზმი, რათა მოგვემზადებინა, წარგვედგინა და განგვეხორციელებინა ეს პროექტი. ასევე პასუხისმგებლობას ვგრძნობ იმ ადამიანების წინაშე, ვინც იდეიდან საქმედ ქცევამდე მიიღო მონაწილეობა.

გყავთ თუ არა მისაბაძი ბიზნესმენი, რომლის გამოცდილებასაც სიამოვნებით გამოიყენებდით?

–ბევრი წარმატებული ბიზნესმენისგან შეიძლება მაგალითის აღება, მაგრამ გამოვყოფდი ადამიანს, რომელიც არის პროექტის „კოლხური ნობათი“ იდეის ავტორი–გოდერძი ბუკია. მისი გამოცდილება და საქმიანობა იმდენად დიდი და მრავალფეროვანია, რომ ნებისმიერი სწორად მოაზროვნე ადამიანისთვის შეიძლება კარგი მაგალითი იყოს. უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, არასოდეს მინახავს ხელჩაქნეული. მუდმივად სიახლის ძიებაშია, არის ძალიან მიმტევებელი, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი კარგი საქმე გააკეთოს ხობისთვის და არამარტო... ხალხიც პატივს სცემს და აფასებს. ეს ყველაფერი კი მის ხუთგზის საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატობაშია გამოხატული.

როგორია მომავლის პერსპექტივები?

–ვფიქრობ, რომ ყველაფერი მიღწევადია, მითუმეტეს მაშინ, როცა არის კეთილი ნება სახელმწიფოს მხრიდან განვითარდეს და გაძლიერდეს ქართული წარმოება, სოფლის მეურნეობა. გვიან შემოდგომაზე ვგეგმავთ ჩავერთოთ მთავრობის მიერ ახლადგაჟღერებულ პროექტში „დანერგე მომავალი“, რაც 5 ჰექტარზე და მეტ მიწის ნაკვეთებზე მრავალწლიანი კულტურების დარგვას ითვალისწინებს.

იაფი კრედიტის ფარგლებში

ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო. ამიტომაც მხოლოდ გაგონილს არ ვენდე და შუა ხორგის ტერიტორიულ ორგანოში წასასვლელად მოვემზადე. ჩემი მეგზური, ბატონი ანატოლ სიჭინავა საკმაოდ ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა. არადა, სალაპარაკოც ბევრი აქვს. იგი შ.პ.ს. „კოლხეთი და კომპანიას“ მენეჯერია.

–ჩვენი საწარმო შუა ხორგის სამკურნალო მცენარეების მეურნეობის ბაზაზე შეიქმნა,–მიყვება ბატონი ანატოლი, ეკონომიკის სამინისტრომ სიმბოლურ ფასად გადმოგვცა 14 ჰექტარი მიწის ფართობი, რომელზეც მეცხოველეობის ფერმის ამორტიზებული შენობაა განთავსებული. ფართის გადმოცემას თავისი ვალდებულება ახლავს თან, რომლის შესრულებაც აუცილებელი პირობაა. კომპანიის დირექტორია ახალგაზრდა ბიზნესმენი ბატონი გიორგი ბუკია. იგი ყოველთვის იქ არის, სადაც ყველაზე მეტი სირთულეა და საკითხი სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი.

მიწის გადმოცემამდე შემუშავებული გვქონდა ბიზნეს-გეგმა, რომელიც წარვადგინეთ სათანადო უწყებაში დაფინანსების მოსაპოვებლად. წარმოდგენილმა გეგმამ, პროექტის „აწარმოე საქართველოში“ გაიმარჯვა და დაფინანსება მოიპოვა, ესაა გრძელვადიანი იაფი კრედიტის ფარგლებში მიღებული წახალისება, მიმდინარე სამუშაოების დასაფინანსებლად.

ამ საუბარში გადავუხვიეთ ცენტრალური გზიდან და მივუახლოვდით ადგილს, სადაც აქტიურად მიმდინარეობს რამდენიმე ჯგუფის მუშაობა–რომლებიც, უკვე თითქმის ბოლომდე მიყვანილი სანიაღვრე არხების ამოწმენდით, მეცხოველეობის ფერმის ძველი შენობის რემონტით, ზოგიც კიდევ მიწის სამუშაოებით იყო დაკავებული.

ახალი წარმოების ფართობზე, შემოღობვითი სამუშაოები დამთავრებულია, მეცხოველეობის ფერმის შენობასაც ჩაუტარდა რემონტი, შეილესა და შეიღება კედლები, ჩაისვა მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები, გამოიცვალა სახურავი.

მართალი გითხრათ, კარგა ხანია ასეთი გულდადებული მუშაობა არ მინახავს. ყველა თავისი საქმითაა დაკავებული, ერთ წუთსაც არ კარგავენ დროს გამოსალაპარაკებლად. თუმცა, მაინც მოვახერხე, ცისკარა ქირიასთან გასაუბრება, რომელიც შესასვლელი კარების გამოცვლის თაობაზე მოვიდა ბატონ ანატოლისთან.

–ჩვენ, იური ქირიას ოჯახიდან, ამ საწარმოში დასაქმებული ვართ ოჯახის ექვსი წევრი, ძმები და ძმისშვილები, ძირითადად შენობის რემონტზე ვმუშაობთ, გამომუშავებაზე ვართ, თვეში 600-დან 620 ლარამდე ვიღებთ. როგორც ბატონ ანატოლისთან გავარკვიე, დღეისთვის მიმდინარე სამუშაოზე დაახლოებით ოცი ადამიანია დასაქმებული, ზოგჯერ მეტიც, გამომდინარე საქმის სირთულეებიდან და ვადებიდან.

ვათვალიერებ სამ ჰექტარზე მოწყობილ წყალსატევს, რომელშიც უკვე მესამე წელია თევზის გამოზრდა მიმდინარეობს, ამ მხრივ თუ როგორი შედეგი აქვთ, ისევ ანატოლი მიხსნის.

–ამ ტბორში, უკვე გასაყიდად მზადაა, ექვსი ტონა თევზი. თავიდან ლიფსიტები შემოვიყვანეთ, ვიყიდეთ საკვები, რომელმაც თევზის თვითღირებულება გაზარდა. ჯერჯერობით აქედან მოგება არ მიგვიღია, მაგრამ ვიწყებთ თევზის წარმოების სრულ ციკლს ლიფსიტის გამოყვანიდან, ზრდასრული თევზის მიღებამდე. ამისათვის, ჩვენს მიწის ფართობზე დავთესავთ სიმინდს და სოიოს, ამით მათ საკვებ ბაზას უზრუნველყოფთ, აქვე გვაქვს ჭაბურღილი, რომლიდანაც ბუნებრივ წყალს უწყვეტ რეჟიმში ვღებულობთ, უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ამ წყალზე ლიცენზიაც გვაქვს აღებული.

კითხვაზე–რა სამუშაოები მიმდინარეობს ახლა, ბატონი ანატოლი გვპასუხობს, რომ დასასრულს უახლოვდება სანიაღვრე არხების ამოწმენდა და ზოგ ადგილას ახლის გათხრა. სამუშაოზე დაკავებულ ადამიანთა საშუალო ანაზღაურება 300 ლარი და ზოგჯერ მეტიც. ასევე მალე დასრულდება ფერმის შენობის რეაბილიტაცია, რომელიც ხელახლა შეილესა გაჯით, ჩაისვა ახალი კარ-ფანჯრები, გადაიხურა, მიმდინარეობს შიდა კეთილმოწყობის სამუშაოები.

მომავლის პერსპექტივაზე საუბრისას აღნიშნა, რომ ფერმის შენობა გაიყოფა ორ ნაწილად, ერთში განთავსდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, პირველ ჯერზე 40 სული მეწველი ძროხა, გეზი ადგილობრივ ჯიშებზე გვაქვს აღებული, დაგეგმილი გვაქვს ხორცის, რძის და ყველის წარმოება. ამის პარალელურად, ფერმის შენობის ნახევარი დაეთმობა მეფრინველეობის ფერმას, ისიც წარმოდგენილი იქნება სრული ციკლით–მოხდება წიწილების გამოჩეკვა, მათი გამოზრდა, კვერცხისა და ხორცის მიღება. ჩვენი პროექტი ითვალისწინებს ექვსი ათასი ქათმის ყოლას. სულ მალე ჩამოგვიტანენ თანამედროვე ტექნიკურ მოწყობილებებს, მათ შორის ლაბორატორიასაც, რომლის დასკვნის საფუძველზეც დაიკვლება ქათმები (200 ცალი დღეში), თვეში ეს გამოვა დაახლოებით ექვსასი ათასი ცალი.

პრობლემების არსებობასთან დაკავშირებით, ბატონი ანატოლი აღნიშნავს, რომ ცენტრალური გზიდან „კოლხეთი და კომპანიამდე“ გასაკეთებელია გზა, რომელიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია. მოსაძიებელია თევზის გასაღების ბაზარი, მოსაგვარებელია ფერმის შენობის გათბობის საკითხი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნულ კომპანია, რომელიც სულ ცოტა ხანში ამუშავდება, მოგების მიღებას მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეძლებს, მიუხედავად ამისა, კომპანია რიტმულად მუშაობს, ასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას და მის სიკეთეს სულ მალე იგრძნობს ხობელები და არა მარტო ხობელები.

გვერდი მოამზადა მანანა შულაიამ

ნომრის სტუმარია ნანა გვასალია– ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში

„ხალხმა მეტად საპასუხისმგებლო ნდობა გამომიცხადა“

როგორ დაიწყებდით საუბარს ჩვენს მკითხველთან, ქალბატონო ნანა?

–ყოველთვის მიჭირს საკუთარ თავზე საუბარი და მით უფრო, წერა. ხალხი, საზოგადოება, თითოეული ჩვენთაგანი ათასგზის პირუთვნელი შემფასებელია, ვიდრე საკუთრივ ჩვენ, რომელთაც შეიძლება მეტად უსახური ავტოპორტრეტი ან არაფრისმთქმელი მონოლოგი გამომივიდეს.

ნეტარი ავგუსტინე მიმართავდა უფალს: „რა ვარ უშენოდ. თუ არა მეგზური, უფსკრულისკენ რომ მიუძღვის საკუთარ თავს?“ თუმცა, ჩემს შემთხვევაში აბსოლუტურად სხვანაირადაა საქმე. ვცდილობ, უფლისმიერი თანასაქმიანობით ვაკეთო ჩემი საკეთებელი და ვიყო ისეთი, როგორიც ვარ.

რა არის ნანა გვასალიას გზა, რომელსაც ის, ასე რუდუნებით მიჰყვება?

–არ ვიცი რამდენად დააინტერესებს ამ აურზაურულ სამყაროში ჩემი გზა ჩვენს პატივცემულ მკითხველს, მაგრამ ვიტყვი, მივდივარ ისე, როგორც მწადს, ანუ სწორად მიმაჩნია, მივიწევ იქით, სადაც უთუოდ უნდა მივაღწიო, ხოლო გზადაგზა როგორი დაბრკოლებები და წინააღმდეგობები გადამეღობება, ამაზე ნაკლებად ვფიქრობ, რადგან ნიმუშად მყავს ჩემი ძმა ლაშა გვასალია, რომლის ცხოვრებაც, როგორც თავად იტყვის, „კლასიკური დონკიხოტიზმით განვლი გზასა“, ბრძოლისა და ღვაწლების დიდებული მაგალითია, ამიტომაც მივდივარ წინ, ოღონდ არავითარ შემთხვევაში ვიღაცის გასწრების სურვილით, არამედ დროსთან შეჯიბრების მიზანსწრაფულობით და როგორ გავივლი ჩემთვის უფლისგან მოზომილ სავალს, ეს საკუთარ სურვილზე უფრო, იღბალთან ერთად, დროის საჭიროების შეცნობასთანაა დაკავშირებული და ვნახოთ!

ცოტა რთულად ხომ არ საუბრობთ. იქნებ დააკონკრეტოთ, რისი მიღწევა შეძელით გურიფულის თემში ხელმძღვანელად მოსვლის შემდგომ?

–კი ბატონო. ჩემი სოფელი მუხის ერთი პაწაწინა ტოტია და თავისთავად, დამოკიდებულია ამ მუხის სიჯანსაღესა და ფესვძლიერებაზე. ჩემთვის, როგორც ნდობით აღჭურვილი პირისთვის, მთავარია, რომ კუთვნილი სიკეთე დროულად და დაუმახინჯებლად მიუვიდეს ჩემს ხალხს. ყველაფერს ვაკეთებ, ჩვენს პოლიტიკურ გუნდთან ერთად გავამართლო ხალხის იმედები და პირნათლად შევასრულოთ ის დაპირებანი, რისთვისაც მხარი დაგვიჭირა ხალხმა და მეტად საპასუხისმგებლო ნდობა გამოგვიცხადა.

მთავარი, რითაც მთელ პოლიტიკურ გუნდთან ერთად შეიძლება თავი მოვიწონოთ, გახლავთ თავისუფლების ღვთივძლიერი შეგრძნება, როცა გწამს იმისა, რომ უკანონოდ, დაუმსახურებლად არავინ შეგეხება და შენ და შენი ოჯახის უფლებებს არ დაარღვევს. საოცარი შეგრძნებაა, როცა დარწმუნებული ხარ შენი ქვეყნის, მთავრობის კეთილგონიერებასა და გულისხმიერებაში, იმაში, რომ შენ, ერთი პატარა თემის ხელმძღვანელს, შეგიძლია შენს თავზე აიღო შენი ხალხის კანონიერი მფარველობა, რადგან იცი, რომ კანონი კონსტიტუციურად შეუვალი და უზენაესია. სწორედ ეს უნდა გახდეს საფუძველი სხვა ინსტიტუციონალური ფასეულობების განვითარებისა და წარმატებისა.

საყოველთაო ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის განვითარების, განათლების, „სოფლის მხარდაჭერის“ უნიკალური პროგრამა და სხვა სახელმწიფოსაგან მხარდაჭერილი უმნიშვნელოვანესი პროექტები გაძლევს იმედს იმისას, რომ „ყოფისმიერი პრეამბულა“ ჩუმად, ყოველგვარი რეკლამებისა და გნიასის გარეშე განვლილი, უსათუოდ ჩვენი სამომავლო წარმატებების საფუძველი გახდება.

უმთავრესი–ხალხმა თავისუფლად მოახდინა პოლიტიკური სელექცირება, ანუ აირჩია ყველა დონეზე, ყველა მიმართულებით ის ძალა და ადამიანები, რომლებსაც ენდობოდა და მოცემულ სიტუაციაში მიაჩნდა ღირსეულად.

მე გახლავართ ის ადამიანი, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ კი არ მოსულა ამ ძალასთან, არამედ ერთი ადამიანისთვის შესაძლებელი ყველაფერი გააკეთა, თავის ოჯახთან ერთად, მიუღებელი პოლიტიკური ძალის „ნაციონალური მოძრაობის“ დასამარცხებლად და კოალიცია „ქართული ოცნების“ გასახელისუფლებლად. ამიტომაც ნებისმიერი არასასიამოვნო ტონი, მარცხზე და შეცდომაზე რომ არაფერი ვთქვათ, გადის ჩემს გულზე და განსაკუთრებული სიმძაფრით განვიცდი.

ზოგადად, საუბარზე მეტად. იქნებ კონკრეტულზე გაამახვილოთ ყურადღება?

–გურიფულის მოსახლეობამ გააკეთა თავისი არჩევანი. აირჩია მუნიციპალიტეტის ღირსეული გამგებელი ბატონი **გოჩა ქაჯაია**, რომელიც ყველაფერს აკეთებს თავისუფლების ხარისხის შენარჩუნებით მხარში დაგვიდგეს და მენეჯერული ნიჭიერებით აკეთოს მნიშვნელოვანი საქმეები. ასევე, ავირჩიეთ ჩვენი დეპუტატი ბატონი **ლაშა გვასალია**, ვისზე საუბარსაც სუბიექტური დამოკიდებულების გამო მოვერიდები. გვყავს მუნიციპალიტეტის ქმედითი საკრებულო, ძლიერი და ღირსეული საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი **ედიშერ ჯობავა**. სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა პირველ გურიფულში სასმელი წყლის მრავალათასიანი პროექტის განხორციელება, მილიონ ორასიათასი ლარის მოძიება და სანატრელადქცეული ნაპირსამაგრი სამუშაოს წარმოება. არაფერს ვამბობ ე.წ. ზემოდან წამოსული ხვნა-თესვის პროგრამებზე, რომელსაც მესამე წელია ჩვენი სოფელი აგროვადების აბსოლუტური დაცვითა და პირნათელობით აგვარებს. აგრობარათების დროული დარიგებიდან დაწყებული, ტრაქტორების ფართობებზე შეყვანით დამთავრებული. ყველაფერს ვაკეთებთ ხალხის გასახარებლად. თუ ვინმე ამ სიკეთეს ვერ ამჩნევს, ეს მისი პრობლემაა.

„ქვეყანა არავის დაუქცევიაო“–ხშირად გაიგონებთ მსგავს უმადურ ეპითეტებს ჩვენი ხელისუფლების მისამართით. ასეთ დროს, პატარაობისას ნანახი ერთი ამბავი მაგონდება, თუ როგორ დაემდურნენ მეზობლები ერთმანეთს ბაბუას დანატოვარი დროისა და ლესვისაგან დალეული წალდის გამო. ჰოდა, თქვე დალოცვილებო, თქვენს წინაპართ რომ არ დაუტოვებია თქვენთვის ისეთი რამეები, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, მექანიკური სათიბებით და სახერხებით დაწყებული, უბრალო ცელებით, ნაჯახებითა თუ ბარ-ნიჩბებით დამთავრებული გიყიდათ, გაჩუქათ და მადლობელი მაინც იყავით, საჩუქარი კეთილად მიიღეთ და ნუ ჩავარდებით უმადურობის ცოდვაში. უახლოეს მომავალში კიდევ უამრავ სასიკეთო რამეებს გვპირდება სიურპრიზადაც ჩვენი ხელისუფლება და ამოვუდგეთ მხარში. დავეხმაროთ ჩვენსკენ მომართული ნაბიჯების გადმოდგმაში.

ამასწინათ ერთმა ჩემმა თანასოფლელმა გაოცებით მკითხა: ნანა, არც ერთი ცნობის გაცემაში ფულს მართლა არ იღებთო?–არა, ჩემო ბატონო, რისი ფული, რისი ქრთამი მეთქი, რატომ ქრთამი რა შუაშიაო!–აქსიომად იყო ქცეული თუნდაც ჩვენს დონეზე აღებმიცემობა. ე.წ. წვრილი კორუფცია, თუნდაც ეს ყველაფერი რომ მოისპო, არ არის ჩვენი და საზოგადოების გამარჯვება? ამ პატარა სამართლიანი სიკეთით იწყება დიდი წარმატებები.

ნანა, ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთგან გაიჟღერა ნეპოტიზმის პრობლემამ. აქცენტი თქვენზე და თქვენს ძმაზეც, ამასთან ჩვენი გამგებლის, ბატონ გოჩას თქვენს ოჯახთან ნათესაობაზეც გაკეთდა. რას გვეტყოდით ამაზე?

–იცით? როცა ბრძოლა იყო საჭირო, ეს ავყია და ქონდრისკაცა მშიშრები სად იყვნენ, ვერ წარმოედგინათ და არც ეწადათ „ნაცისტური რეჟიმის“ დამარცხება. შემდგომ გაწყობილ სუფრაზე მოუნდათ ხმამაღლობა. იხვეწებოდნენ... თუნდაც მაშინ, როცა ჩემი ძმა, მოდით, მხარში დამიდექით, მაგრამ მაშინ კუდისა თუ სოდის სათბილებელში მოკალათებულთ, სიზმარშიაც ვერ წარმოედგინათ ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. ის, ვინც აპელირებს ამ თემაზე, არის ხელმოცარული, წარუმატებელი და ადამიანურად საცოდავი. ჯერ–ჯერობით მეტს არაფერს ვიტყვი, რაც შეეხება ბატონ გოჩა ქაჯაიასთან ჩვენს ნათესაობას, სიმართლეა. მით უფრო, საამაყო სიმართლე. ჩემი ძმა ბატონ გოჩას ვაჟის, უფროსი თენგო ქაჯაის მოსახელის–უმცროსი თენგოს, იგივე თეგას, უბრწყინვალესი შინაგანობითა და საერთოდ ყველაფრით ამაღლებული ბიჭის ნათლიაა. ჩვენ ვართ ნათესავები და ვერანაირი პოლიტიკური თუ პიროვნული ინტრიგა ამას ვერ შეეხება და ვერ შეასუსტებს. მითუმეტეს, მე, ნანა გვასალია ბატონი გოჩას გამგებლად მოსვლამდე დავინიშე ამ თანამდებობაზე. მოკლედ, ტყუილკაცობენ ჩვენი ოპონენტები.

ქალბატონო ნანა, ის, რისი გაკეთებაც ყველაზე მეტად გინდათ?

–როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს სოფელში შენდება წმინდა ივლიტასა და კვირიკეს სახელობის ეკლესია, მსურს გადამწყვეტი წვლილი შევიტანო მის დასრულებაში. ამ მიმართულებით მე და ჩემი ძმა ბევრს ვმუშაობთ. გამოჩნდა ერთი პიროვნება, რომელსაც დიდი ალბათობით, ფინანსური თვალსაზრისით, ჩავაბამთ ამ საქმეში. ვნახოთ, ყველაფერი წინაა, მთავარია, მარჯვენამ არ უწყოდეს, რას იქმს მარცხენა და იჩუმაო იქ, სადაც აუცილებელია უხმო საქმიანობა.

ეკლესია ღმერთთან ერთად ჩვენი სულების სახლიცაა. ოდესმე ჩვენც ხომ იქ უნდა დავივანოთ უფალთან ერთად!

როგორია ნანა გვასალია სახლში?

ჩვეულებრივი, უხმო, ხშირად მოღიღინე, მთავარი კი ჩვენი ოჯახის უმდიდრესი ბიბლიოთეკის ღირსეული მკითხველობაა. ჩემი ოჯახი მკითხველების, წიგნიერების ოჯახია. ვინც ჩვენ გვიცნობს, უწყის, რომ ჩვენ ვკამათობთ ჩვენი ქვეყნის ნათელ მომავალზე, აწმყოზე და ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე. ვარჩევთ წაკითხულ წიგნებს, გვაქვს დისკუსიები და ვატარებთ ოჯახურ კონკურსებსაც, ვართ როგორც პოლიტიკური, ისე ლიტერატურულ–შემეცნებითი პროცესების აქტიური მიმდევრები. ჩემი ძმა მუდმივად გვიახლებს ე.წ. საოჯახო პროექტებს.

რა არის თქვენი ნატვრა?

–აღმოიფრხვას უსამართლობა, რადგან მას არასოდეს მოუტანია თუნდაც მცირედი სიკეთე. ასევე, აღდგეს სამართლიანობა და მთავარი, ვიხილო გაერთიანებული, ძლიერი საქართველო ჯანღონიერი მამულით, ენითა და სარწმუნოებით!

მოკლედ, მოვრჩეთ ამით ქაღალდის თეთრ უდაბნოში ხეტიალს, მანამდე კი „უფალმან მწყსოს მე და მე არა მაკლდეს!“ (ფსალმუნი ესე 22).

ესაუბრა ნანი კილასონია.

„აცრები და დაცვები“

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტია:

იმუნიზაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ყველაზე ეფექტურ ინტერვენციას წარმოადგენს:

2015 წლის 20-26 აპრილს საქართველოში, ისევე როგორც ევროპის რეგიონის სხვა ქვეყნებში, იმართება იმუნიზაციის კვირეული. აღნიშნული კვირეული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ბიუროს მიერ არის ორგანიზებული და ის ყოველწლიურად ტარდება. მისი მიზანია მოსახლეობისთვის იმუნიზაციის პროგრამის მნიშვნელობის შეხსენება და ინფორმირებაა.

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს პრევენციულ და ეპიდემიოლოგიურ ღონისძიებებს, როგორც სამუშაო გეგმის შესაბამისად, ასევე ეპიდემიოლოგიური საშიშროებისას. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად, იმუნიზაცია ტარდება 12 დაავადების წინააღმდეგ. ესენია: ტუბერკულოზი, „ბ“ ჰეპატიტი, „ბ“ ტიპის ჰემოფილუს ინფლუენსა, ყივანა-ხველა, დიფტერია, ტეტანუსი, წითელა, ყბა-ყურა, წითურა, როტა-ვირუსული და პნევმოკოკური ინფექციები, პოლიომიელიტი. აცრები ტარდება ასაკობრივად დაბადებიდან 15 წლამდე, 15 წლის შემდგომ ტარდება რევაქცინაციები–დიფტერია-ტეტანუსის საწინააღმდეგოდ.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მართვადი და არამართვადი დაავადებების გავრცელების მხრივ არის სტაბილური და დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ასევე ადგილი არ ჰქონია განსაკუთრებით საშიში დაავადებების ცოფის, ჯილეხის, დიფტერიის, ტეტანუსის და სხვათა არცერთ შემთხვევას.

საქართველო, როგორც ჯანმოს ევროპის რეგიონის წევრი ქვეყანა, იმუნიზაციის კვირეულში მონაწილეობას 2007 წლიდან იღებს.

იმუნიზაცია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა და ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის, სიბრმავის, ინვალიდობის, გონებრივი ჩამორჩენილობისა და ჯანმრთელობის სხვა მძიმე დარღვევებისგან. ვაქცინაციის შედეგია ის, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 2002 წელს ევროპის რეგიონის ქვეყნები პოლიმიელიტისგან თავისუფალ ზონად გამოაცხადა.

ვაქცინაცია ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური, სანდო და უძველესი საშუალებაა.

მსოფლიო მასშტაბით ყოველწლიურად 3 მილიონამდე ბავშვი იღუპება იმ ინფექციებისგან, რომელთა პროფილაქტიკისთვის არსებობს ვაქცინა.

დროულად ჩატარებული აცრები ვაქცინაციით მართვადი დაავადებების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა.

პროფილაქტიკური აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადებების მიმართ. მშობელმა უნდა იცოდნენ, რატომ, როდის, სად და რამდენჯერ უნდა აიცრას ბავშვი.

იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტიაა და აუცილებელია ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩავუტაროთ აცრების კურსი.

აცრები იცავს ბავშვებს სახიფათო დაავადებებისგან

თანამედროვე ვაქცინები უსაფრთხოა, საქართველოში იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმოს მიერ რეკომენდირებული და სერთიფიცირებული ვაქცინები.

პროგრამული ვაქცინები მომხმარებლისთვის უფასოა, რადგან ამ ვაქცინების ღირებულებას სახელმწიფო სრულიად ფარავს იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში.

საქართველოში წითელას გავრცელების გამო 2013, 2014 წლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, უკვე მეორე წელია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ხორციელდება შესაბამისი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები, წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით ტარდება აუცრელი და არასრულად იმუნიზებულ 30 წლამდე ასაკის პირთა, სამედიცინო პერსონალის და წითელას სავარაუდო შემთხვევის გამოვლენისას კონტაქტების ერთჯერადი უფასო ვაქცინაცია წითელა-წითურა, ყბა-ყურას საწინააღმდეგო ვაქცინით.

უნდა გვახსოვდეს, რომ არავაქცინირებული პირი საფრთხეს უქმნის როგორც საკუთარ, ასევე მის გარშემო მყოფი ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

იმის გამო, რომ ამჟამად საქართველოში ბავშვების უმეტესობა ვაქცინაციით დაცულია, მკვეთრადაა შემცირებული დაავადებათა რიცხვი და შესაბამისად, მათ მძიმე შედეგებს ხშირად ვერ ვხვდებით, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი გამომწვევი მიკროორგანიზმები ჩვენს გარშემო აღარ არსებობს.

კიდევ ერთხელ მივმართავთ და რჩევას ვაძლევთ მშობლებს:

ძვირფასო მშობლებო! გახსოვდეთ, რომ დროულად ჩატარებული აცრები დაავადების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. თქვენ შვილებს არ შეუძლიათ, თავიანთი ჯანმრთელობისთვის ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თავად მიიღონ, ამას თქვენგან ელიან.

ჯუმბერ ტურავა,

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.

ხსოვნა

„მოგონება შენზე ფიქრებს დამათოვს“

(ლეილა წოწონავა)

მზესავით გაბრწყინებულო მეგობარო...

ვწერ მოსაგონარს და ძლიერ მიჭირს...

მეგობარო, უკეთილშობილესო, სულით ძლიერო ლეიკო, ლეილა...

რომელი ერთი გავიხსენო შენი ნამოღვაწარი თუ ნამოქმედარი...

ო, გახსენება რარიგ ძნელია...

მოხვედი სკოლის მერხიდან, ერთგულად ემსახურე საქმეს... შენს ხალხს. კოლექტივში სიყვარულს აფრქვევდი, სიცოცხლეს ეტრფოდი.

გახსოვს, ლეიკო, წერისგან დაღლილებს შენი სიმღერა მოგვენატრებოდა და გოგისთან ერთად აგამღერებდით. კარჩაკეტილ ოთახში იფრქვეოდა გულში ჩამწვდომი ქართული ჰანგები, სიცოცხლეს ძალა, ეშხი ემატებოდა... ვაგლახ, რომ ნაადრევად ჩაქრა ორი მეგობრის ლამაზი სიცოცხლე და მიწისქვეშეთი დაამშვენა.

ჩემო ლეიკო, არ მინდა ზედმეტად გადაგღალო, ჩემო ლამაზთვალება. ისედაც ამ ცხოვრების სიტკბოთი თუ სიავით დატვირთული მიდიხარ.

თვალწინ მიდგას ჩვენი შეხვედრის ბოლო ღამე. სიცოცხლეზე ფიქრობდი, ოჯახზე დარდობდი... აწი ნუ მოხვალ, მე თვითონ გნახავთო. დამაიმედე დაო... იმედი შენს სულსა და გულს აკეთილშობილებდა. მართალი მეგონა. ვერაგი სიკვდილი ჩაგისაფრდა... ჩვენი შეხვედრა ბოლო გამოდგა.

ჩემო სულით ძლიერო, ლეილა... არ მახსოვს, როგორ ავედი იმ მაღალ კიბეზე... როგორ მოვეფერე შენს ჯერ კიდევ თბილ სხეულს.

არავის არ დაავიწყდება შენი ქალური კლდემამოსილება, შენი ამაგი, ოჯახის დედაბოძო, დედაშვილური სითბო... ფანტასტიური სულიერი სიმტკიცე გამოავლინე.

შენმა იგორიმ შენი სულის დასახსნელად არაფერი დაზოგა, ქალიშვილები თავიანთი მონაგარით ხარობენ, დედაშვილურ ამაგს არასოდეს დაივიწყებენ.

სიცოცხლე გრძელდება.

ცივი ქვიდან შენი თვალების სითბო არ ქრება, ჩემო „ხვართქალა“ ლეიკო. შენს სურათს ვეფერები და ვფიქრობ, ნაადრევად წასულ ჩემს დედაზე, მამაზე, ძმებსა და რძლებზე. ასე მგონია, ყველანი ერთად ხართ, სჯა-ბაასობთ... არადა, რამდენი ცრემლები გიღვრია... შენთან ერთად ჩემს მეგობრებსაც, მზეგრძელობა ყველას...

არსთა გამრიგე ზეცაში რჩეულებს იხმობსო...

8 მაისი შენი დაბადების დღეა, გილოცავთ შენი კოლეგები.

დრო კრიალოსანზე ჩამოიმარცვლა...

მზესავით გაბრწყინებული შენი სახე მიწისქვეშეთს ანათებს, მარადდაუვიწყარო ლეილა...

ლირა ბასილაია.

ვლადიმერ (გაჯი) ბერაია



4 აპრილს 3 წელი გავიდა, რაც ზეცას შეუერთდა შენი უბოროტო და უკეთილშობილესი სული. ხშირად, როცა ადამიანებს ვკარგავთ, მის ღირსებას შემდეგ შევიგრძნობთ. ჩვენც და შენი ახლობლები შენს სითბოს, სიკეთეს და კეთილგონიერებას შენს სიცოცხლეშივე ვგრძნობდით. ვამაყობთ იმით, რომ დღესაც სიყვარულით გიხსენებენ შენი სამეზობლო და საახლობლო. ასე, რომ შენი დათესილი სიკეთის ნერგი ჯერ კვლავაც ხარობს. სუფთა სულის, კეთილი გულისა და დიდი ღირსების მატარებელი–ასე გიხსენებ ყველა, ვისთანაც ურთიერთობა გქონია. მე ვამაყობ შენი კაცურ-კაცობით, განვლილი ცხოვრებით.

მძიმედ მახსოვს, როგორ გემრიელად დანებდი სიკვდილს, თუმცა ბოლომდე შეგრჩა სიკვდილთან ბრძოლის უნარი.

ომისა და შრომის ვეტერანი, პატიოსნებით გამორჩეული, მოსიყვარულე ბაბუა–ასეთად დააკლდი ყველას, შენს ოჯახს.

უფალს ვთხოვ შენი სუფთა სული სასუფეველში ამყოფოს. მე კი ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს შენი სულის უკვდავყოფას და საფლავის პატივისცემას მოვახმარ.

უდიდესი მონატრებით მეუღლე

ზაირა ხურცია.

ნინო ალანია

უკანასკნელად დარეკა ზარმა, სიკვდილმა იზეიმა და სუფევს სიწყნარე გასაოცარი...

ყველას უმძიმდა საყვარელ ადამიანთან განშორება, მაგრამ ჩვენთვის, ნოჯიხევის საბავშვო ბაღის კოლექტივისთვის, რაღაც გამორჩეულად თავზარდამცემი იყო. „ნეტავ ჩვენს გულისტკივილს თუ იტყვის ენა?“

ჩვენო ნინო, უსაზღვროდ კეთილო და მოსიყვარულე მეგობარო, როგორ გვატკინე გული. 16 წელი ერთად გავატარეთ. პატარებს ემსახურებოდი. საკუთარი შვილებივით თავს დასტრიალებდი. თითოეულ მათგანს გულში იხუტებდი, ეფერებოდი, სანაცვლოდ მშობლებისა და პატარების დიდ სითბოსა და სიყვარულს იღებდი.

უშრეტი ენერგიის მქონე ქალს, ზოგჯერ საკუთარი დარდი და ტკივილი გვერდზე გრჩებოდა და სხვებზე ზრუნვაში გადიოდა დღეები. ბავშვების გარეშე ერთი დღე არ შემიძლიაო,–იტყოდი, რაოდენ დასანანია, რომ ვეღარასოდეს შემოაღებ ჩვენი ბაღის კარებს შენეული ღიმილით, იუმორით, სტუმართ-მასპინძლობით. დღე არ გავა, რომ არ გახსენოთ.

ჩვენო ლამაზო მეგობარო, შენი სიცოცხლის კანდელი არ ჩაქრება, იგი მუდამ ენთება, რადგან შენი შვილები თეა, იზა, გიორგი აგრძელებენ ოჯახურ ტრადიციას. შენ ხომ განუმეორებელი დედა იყავი.

კურთხეულიყოს შენთვის ანთებული ყველა სანთელი...

ნოჯიხევის საბავშვო ბაღის კოლექტივი

„მარგალიტივით მრწყინავს ქართული“

14 აპრილი–დედაენის დღე.

ყველა ერს აქვს თავისი გამორჩეული, უფრო მეტიც, განსაკუთრებულად გამორჩეული და საამაყო. არც ქართველი ერია გამონაკლისი.

ქართველ კაცს ეამაყება თავისი მრავალფეროვანი, სახელოვანი ისტორია, თავისი ტაძრები და ციხე-დარბაზები, თავისი დიდი ლიტერატურა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია ამკობს. სიძველესთან ერთად ქართველი ერის პოეტური და პროზაული ქმნილებანი თამამად უსწორებენ თვალს მსოფლიო ლიტერატურის უმაღლეს მწვერვალებს.

ქართველ კაცს ეამაყება მშობლიური ქართული ენა, ლამაზი, ჟღერადი, მოქნილი, მრავალფეროვანი ნიუანსებით აღსავსე ტევადი ენა, გამორჩეულად ეამაყება საკუთარი დამწერლობა, რადგან მხოლოდ 14 დამწერლობა არსებობს დედამიწის ზურგზე, ქართული ანბანი კი მათ შორის ერთ-ერთია.

ქართული დამწერლობა არა მარტო უძველესი, ულამაზესიცაა, ქართველი კაცი მისი სულია, მისი პოეზია და ხუროთმოძღვრება.

ამ ასოებით დაბინავდა ხელნაწერებში და წიგნებში ქართული პოეტური თუ პროზაული გენია, ქართული ფოლკლორი და მეცნიერული აზრი, ქართველი ერის ისტორია. ამ ასოებითაა დაწერილი „დედა ენა“, რომელსაც ძეგლი დაუდგა ქართველმა ხალხმა.

ქართული ენის დაცვისთვის თბილისში, მრავალათასიანი მანიფესტაცია გაიმართა. ქართველები ამაყობენ იმით, რომ მოსკოვმა ჩანაფიქრი ვერ განახორციელა და სახელმწიფო ენად რუსული ვერ დააკანონა. 1978 წლის 14 აპრილს ქართველების გამარჯვების დღედ მოიხსენიებენ. ამიტომაც 14 აპრილს თედო სახოკიას სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ლიტერატურული კომპოზიცია „თვითონ ძეგლი ხარ ულამაზესი“. ბიბლიოთეკის მუშაკებმა (მთავარი სპეციალისტი ლუიზა ცანავა) საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა მოიძიეს დედაენის დღესთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ ითქვა ქართული დამწერლობის უნიკალურობაზე.

ხობის №1, №2 და ხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები დედენაზე.

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ
რწმენაა
ღმერთია! ბედისწერაა!
ზღვა როა! იმოდენაა!“

„ო ენავ ჩემო“
„უფლის სახელით შემკულს
და კურთხეულს“
„ქებაი და დიდებაი
ქართულისა ენისაი“
„ჩვენი ქართული სიტყვა
ქარგული“

„ქართული პოეზია ენის წყალობით ალმასის ბუნებისაა“.

„ქართული ის ენაა, რომლისგანაც მოგვრილი იმედი ველის ყაყაჩოსავით ელავს დედამიწის ზურგზე“. ისმოდა მათი წკრიალა ხმა.

დამთავრდა ღონისძიება, ერთგვარი გაკვეთილი, რამაც არ შეიძლება კვალი არ დატოვოს მათ ცნობიერებაზე.

„წიგნი ჩვენი საუნჯეა“.

„ისწავლეთ გზა ბიბლიოთეკამდე“. აქ ყოველთვის საინტერესო ღონისძიებები ტარდება.

დაე, თითოეული ქართველის გულში ღვივოდეს დედაენისადმი უდიდესი სიყვარულის ცეცხლი, რადგან „მარგალიტივით ბრწყინავს ქართული.“

ნაირა ბერაია.

მინი ფეხბურთი

(გოგა ბერაიას სახელობის ტურნირი)

14-19 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ ხორგაში გაიმართა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის გოგა ბერაიას სახელობის თასის გათამაშება მინიფეხბურთში. შეჯიბრებაში რვა გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ორ ქვეჯგუფში.

A ჯგუფში ასპარეზობდნენ ახალი სოფლის, ხეთის, ხობისა და პირველი ხორგის ფეხბურთელთა გუნდები.

B ჯგუფში გამოდიოდნენ ჭალადიდის, შუა ხორგის, გურიფულისა და ქარიატის გუნდები. ჯგუფური თამაშების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები, რომლებიც ასე დაწყვილდნენ:

1.ხობი–შუა ხორგა;
2.ხეთა–ჭალადიდი;

ხობისა და შუა ხორგის გუნდებს შორის შეხვედრა დაძაბულად წარიმართა, რომელიც ხობელთა გამარჯვებით 2:1 დამთავრდა. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ხეთელებმა ანგარიშით 4:2 სძლიეს ჭალადიდის გუნდს და ფინალში გავიდნენ.

19 აპრილს, გოგას დაბადების დღეს, გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალისთვის.

მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს დაუპირისპიდნენ ჭალადიდისა და შუა ხორგის ფეხბურთელები, შუა ხორგელებმა (მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ვალერიან ქაცარავა) ჭალადიდელები ანგარიშით 3:1 დაამარცხეს და მესამე ადგილი მოიპოვეს. მათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ.

ფინალური შეხვედრა ხობელთა და ხეთელთა შორის დაძაბულად წარიმართა. თავიდან ხეთელები დაწინაურდნენ, თუმცა ხობელებმა მალევე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და მატჩიც ფრედ 1:1 დასრულდა. დაინიშნა პენალტების სერია, სადაც ხობელები უძლურები აღმოჩნდნენ და თამაშიც 4:3 დამთავრდა. ამრიგად, გოგა ბერაიას სახელობის თასის ღირსეული მფლობელი გახდა ხობის ფეხბურთელთა გუნდი (მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი იური ჯობავა), მათ გადაეცათ გოგას სახელობის თასი და სიგელი.

მეორე ადგილზე გავიდა ხეთის ფეხბურთელთა გუნდი (მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი შავლეგ ბუკია), რომლებიც მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასითა და სიგელით დაჯილდოვდნენ.

ტურნირზე სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესო მოთამაშეებისთვის დაწესებული იყო პრიზები:

საუკეთესო მეკარე გახდა–ირაკლი საბეკია (ხობი); საუკეთესო მცველი–ნიკა ბერაია (ხეთა); საუკეთესო ნახევარმცველი–პაატა ბუკია (ხობი); საუკეთესო თავდამსხმელი–ბექა ქარციძე (ჭალადიდი); საუკეთესო ბომბარდირი–ზაურ შენგელია (შუა ხორგა); ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს–მერაბ ხარბედია (ხობი).

გამარჯვებულები, პრიზიორები და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები დააჯილდოვეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეებმა ვარაზ გაბედავამ და მახარე ჩოკორაიამ, მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ქალბატონმა როზეტა შულაიამ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსმა ნანა ბუკიამ, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ლევან ქავთარაძემ, საკრებულოს წევრმა ნუგზარ შუშანიამ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პირველი ხორგის მაჟორიტარმა დეპუტატმა როსტევან გვარამიამ, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ქ. ხობში იური ჯობავამ, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა პირველ ხორგაში კობა ლეფსაიამ.

დაჯილდოების შემდეგ მონაწილეებს სიტყვით მიმართა კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ქალბატონმა როზეტა შულაიამ. შემდეგ კი ტურნირის მონაწილეებმა, ორგანიზატორებმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გოგას დაბადების დღე აღნიშნეს და კიდევ ერთხელ მოიგონეს მისი ნათელი სული.

შეჯიბრება დაფინანსებული და ორგანიზებული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ.

ლევან ლემონჯავა.

საპასუხოდ გვწერენ

საპაღლიბელი

„70 წლის ქალი მუხლმოდრეკით გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მათქმევინოთ ჩემი შვილის გადამრჩენელი, მკურნალი ექიმის ია გელოვანისათვის. იგი არა მარტო წამლებით, არამედ ენით მკურნალია“–ასე იწყება რედაქციაში გამოგზავნილი ბარათი, რომელსაც ხელს აწერს ხობელი **მშვენიერ ბეროშვილი**.

ია გელოვანს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა კარგად იცნობს, როგორც საუკეთესო ფსიქონევროლოგს, კარგი შვილების აღმზრდელ დედას, უნიჭიერეს და თბილ პიროვნებას. ის წლების განმავლობაში ემსახურებოდა ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეს. მიუხედავად ურთულესი სპეციალობისა, იგი მუდამ ახერხებდა ფსიქიურად დაავადებულთა არამცთუ მკურნალობას, არამედ მათ მოფერებას და სიყვარულის დამსახურებას.

ამჟამად ქალბატონი ია გელოვანი სენაკის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის დირექტორია. მან არა მარტო ხობის, არამედ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასა და სამედიცინო საზოგადოებაშიც მოასწარო მყარად დამკვიდრება. სიყვარულის, პატივისცემის და ნდობის მოპოვება.

ჩვენც სიამოვნებით ვუერთდებით ქალბატონ მშვენიერ ბეროშვილის სამადლობელს და ექიმ ია გელოვანს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავთ. ულევ სიხარულს და მადლიერ პაციენტთა სიმრავლეს ვუსურვებთ.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.